

## სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი


ოქტომბერი 2018

- 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 7.2%-ით გაიზარდა;
- 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროს ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (22.7%) და სამცხე-ჯავახეთში (17.9%) გაიზარდა;
- 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, თბილისში სასტუმროს ფასები 1.3%-ით გაიზარდა;
- 2018 წლის ოქტომბერში 3\* სასტუმროს საშუალო ფასმა 139 ლარი შეადგინა, 4\* - 241 ლარი, 5\* - 515 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 69 ლარი;
- 2018 წლის ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 0.1%-ით შემცირდა.

### სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის ოქტომბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა<sup>1</sup> 139 ლარი შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში - 174 ლარი დაფიქსირდა.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა ოქტომბერში 241 ლარი შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი კახეთში - 298 ლარი დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ოქტომბერში 515 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 668 ლარი შეადგინა, აჭარაში - 504 ლარი, კახეთში - 395 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 383 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების<sup>2</sup> საშუალო ფასმა სექტემბერში 69 ლარი შეადგინა. ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 118 ლარი დაფიქსირდა.

### სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი<sup>3</sup> 2018 წლის ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, 0.1%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად კახეთში (-1.7%) და იმერეთში (-1.6%) შემცირდა. თბილისში სასტუმროს ფასები 0.8%-ით შემცირდა.

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ გურიაში (2.2%) და აჭარაში (2.3%) გაიზარდა.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, 0.4%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად კახეთში და იმერეთში შემცირდა. ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა გურიაში, აჭარაში და სამეგრელო-ზემო სვანეთში დაფიქსირდა. თბილისში, აღნიშნული ტიპის სასტუმროების ფასები 0.6%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები ოქტომბერში, სექტემბრის თვესთან შედარებით, 0.3%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად იმერეთში და შიდა ქართლში შემცირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით ფასები გურიაში, მცხეთა-მთიანეთი და აჭარაში გაიზარდა. თბილისში კი აღნიშნული ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 1.4% შეადგინა.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი<sup>3</sup> 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, 7.2%-ით გაიზარდა. მოცემულ პერიოდში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (22.7%) და სამცხე-ჯავახეთში (17.9%) გაიზარდა. თბილისში სასტუმროების ფასების ზრდამ 1.3% შეადგინა.

2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით სასტუმროების ფასები მხოლოდ სამ რეგიონში შემცირდა, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და კახეთში.

| რეგიონი                | სასტუმრო           |                   | 3*, 4*, 5*         |                   | საოჯახო            |                   |
|------------------------|--------------------|-------------------|--------------------|-------------------|--------------------|-------------------|
|                        | 2018 ოქტ/2018 სექტ | 2018 ოქტ/2017 ოქტ | 2018 ოქტ/2018 სექტ | 2018 ოქტ/2017 ოქტ | 2018 ოქტ/2018 სექტ | 2018 ოქტ/2017 ოქტ |
| კახეთი                 | -1.7%              | -0.5%             | -2.8%              | 7.5%              | -1.4%              | -2.3%             |
| იმერეთი                | -1.6%              | 1.5%              | -1.6%              | -0.7%             | -1.6%              | 2.8%              |
| შიდა ქართლი            | -1.5%              | 7.9%              |                    |                   | -1.5%              | 7.9%              |
| სამცხე-ჯავახეთი        | -0.9%              | 17.9%             | -1.0%              | 32.6%             | -0.9%              | 9.1%              |
| ქვემო ქართლი           | -0.9%              | 7.1%              | -0.4%              | 4.6%              | -1.4%              | 12.2%             |
| თბილისი                | -0.8%              | 1.3%              | -0.6%              | 0.5%              | -1.4%              | 3.5%              |
| რაჭა                   | -0.6%              | 4.5%              |                    |                   | -0.6%              | 4.5%              |
| მცხეთა-მთიანეთი        | -0.3%              | -4.6%             | -1.0%              | -24.0%            | 0.2%               | 14.9%             |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -0.1%              | -4.5%             | 0.2%               | 1.3%              | -0.2%              | -7.0%             |
| გურია                  | 2.2%               | 0.5%              | 3.8%               | -12.6%            | 0.6%               | 8.8%              |
| აჭარა                  | 2.3%               | 22.7%             | 2.2%               | 36.5%             | 2.5%               | 3.2%              |
| სულ ფასების % ცვლილება | -0.1%              | 7.2%              | -0.4%              | 10.0%             | -0.3%              | 4.1%              |

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის ოქტომბერში 2018 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით და 2017 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით,

სასტუმროების ფასების ზრდა 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, შესაძლოა დავეუვა ვიწრო პერიოდში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდას. 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდამ 9% შეადგინა, ხოლო მათ მორის ტურისტების ზრდამ 15.1%<sup>5</sup>.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (36.5%) და სამცხე-ჯავახეთში (32.6%) გაიზარდა. თბილისში, 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, 3, 4 და 5\* სასტუმროების ფასები 0.5%-ით გაიზარდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის ოქტომბერში, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, 4.1%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთში (14.9%) და ქვემო ქართლში (12.2%) გაიზარდა. მოცემულ პერიოდში, თბილისში, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდამ 3.5% შეადგინა.

| ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები |                                                               |        |        |         |          |         |                                                                               |        |         |          |                                                                                       |
|-----------------------------------|---------------------------------------------------------------|--------|--------|---------|----------|---------|-------------------------------------------------------------------------------|--------|---------|----------|---------------------------------------------------------------------------------------|
|                                   | IV 2016                                                       | 2016   | I 2017 | II 2017 | III 2017 | IV 2017 | 2017                                                                          | I 2018 | II 2018 | III 2018 |                                                                                       |
| 1                                 | 493.4                                                         | 1978.3 | 458.7* | 549*    | 647.7*   | 579.9*  | 2235.4*                                                                       | 534.8* | 650.2*  |          |                                                                                       |
| 2                                 | 1473.8                                                        | 6720   | 1378.1 | 1757    | 2969.9   | 1797.5  | 7902.5                                                                        | 1582.4 | 1979.6  | 3226.4   |                                                                                       |
| 3                                 | 559.6                                                         | 3297.3 | 665    | 908.9   | 1629.9   | 865.7   | 4069.4                                                                        | 839.5  | 1094.2  | 1838.3   |                                                                                       |
| 4                                 | 481.2                                                         | 2166.3 | 434.6  | 658.8   | 1081.1   | 576.8   | 2751.3                                                                        | 550.8* | 810*    |          |                                                                                       |
| 5                                 | 92.4                                                          | 386.3  | 81.4   | 109.5   | 152      | 120.7   | 463.6                                                                         | 105.9* | 126.4*  |          |                                                                                       |
| 6                                 | 34.7                                                          | 56.1   | 7.1    | 25.1    | 29.7     | 14.4    | 76.2                                                                          | 23.8*  | 7.6*    |          |                                                                                       |
| 1                                 | ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი) |        |        | 2       |          |         | საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)                               |        | 3       |          | ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)                                   |
| 4                                 | შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)         |        |        | 5       |          |         | საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი) |        | 6       |          | შირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი) |

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების მერჩენდა მოხდა შემთხვევითი მერჩენის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი

სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფეხველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით. 2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც

სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი. 3. სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009). 4\* წინასწარი მონაცემები 5. წყარო: GNTA